ყუროს ქედი

მარშრუტის აღწერა

ტურის ვებ-გვერდი

შენიშვნა: მდინარის მხარეების/ნაპირების და შენაკადების განსაზღვრება (მარცხენა ან მარჯვენა) მოცემულია სტანდარტული წესის შესაბამისად: მდინარის დინების მიმართულების გათვალისწინებით (ჩვენი მოძრაობის მიმართულების გაუთვალისწინებლად).

ყუროს ქედის მარშრუტი დარიალის ხეობიდან იწყება, საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის მახლობლად.

მთავარი გზიდან, დარიალის მთავარანგელოზის მონასტერთან მარჯვნივ ვუხვევთ და ავუყვებით გრუნტის სამანქანე გზას, მდინარე ხდისწყლის (თერგის მარჯვენა შენაკადი) გასწვრივ. ამ დროს დარიალის მთავარანგელოზის მონასტერი ჩვენგან მარჯვნივ ექცევა. მდინარე ხდისწყლის ხეობას ხდის ხეობა, ან უბრალოდ ხდე ეწოდება.

გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ ჰიდროტექნიკურ ინფრასტრუქტურას მივადგებით. ეს ჰაზბეგიჰესის წყალმიმღები ნაგებობაა. ამ ადგილას მთავრდება გრუნტის სამანქანე გზა და იწყება ვიწრო ბილიკი.

ვიწრო ბილიკი მდინარე ხდისწყლის მარჯვენა მხარეს მიუყვება.

რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ მდინარის გადასაკვეთად ადგილი უნდა ვიპოვნოთ. ამისთვის, პირველ რიგში, მდინარე ხდისწყლის ყველაზე გრძელი მარცხენა შენაკადი უნდა ვიპოვნოთ. აღნიშნული შენაკადის ბოლო მონაკვეთი, რომელიც ხდისყლის ნაპირებიდან მოჩანს, ძლიერ ციცაბო ფერდობებზე მოედინება და მაღალ ჩანჩქერებს ქმნის, რის გამოც იგი ადვილად ამოსაცნობია.

Khuro Range

Route Description

Tour web-page

Note: the sides/banks and tributaries of rivers (whether left or right) are determined by common rule: by looking towards the direction of the river stream (ignoring our moving direction).

Khuro range route begins from Dariali Valley, near the state border of Georgia and Russia.

From the main paved road, at Dariali Archangel Monastery, we turn right and begin to ascend on an unpaved road, along Khdistskhali River (the right tributary of Terek). At this moment, Dariali Archangel Monastery gets right from us. The valley of Khdistskhali River is called Khde Valley or just Khde.

After passing certain distance, we reach some hydro power infrastructure. This is Kazbegi HPP water intake. This is the end of the unpaved road and the beginning of narrow path.

The narrow path lies along the right side of Khdistskhali River.

After several kilometers of hiking, we have to find river crossing point. For this, we first must identify the big left tributary of Khdistskhali. The tributary's last part that can be seen from Khdistskhali banks, flows on very steep slopes and makes high waterfalls. So it is not difficult to identify it.

© შპს „ბისნა“ ● Bisna LLC | 2020



ასე გამოიყურება აღნიშნული მარცხენა შენაკადი ქვემოდან:
1 — მარცხენა შენაკადი
2 — მდინარე ხდისწყალი

გასათვალისწინებელია, რომ არ არსებობს მდინარის გადასაკვეთად წინასწარ ზუსტად განსაზღვრული ადგილი, რაც იმას ნიშნავს, რომ თავად უნდა მოვძებნოთ თავთხელი ადგილი ნელი დინებით. უმჯობესია, ასეთი ადგილი ხდისწყლისა და ზემოაღნიშნული მარცხენა შენაკადის შეერთების ადგილიდან რამდენიმე ათეული მეტრით ქვემოთ ვეძებოთ.

უსაფრთხოებისთვის, მდინარის გადაკვეთისას თოკის გამოყენებაა მიზანშეწონილი.

ხდისწყლის გადაკვეთის შემდეგ, ციცაბო აღმართი იწყება ციცაბო ფერდობზე. აქედან არანაირი ბილიკი აღარ არსებობს. ფერდობი ნაწილობრივ ტყით არის დაფარული, ნაწილობრივ კი ქვით. ბისნას მიერ ხაზგასმით არის რეკომენდებული ფერდობზე ასვლისას ტყიანი მონაკვეთი გამოვიყენოთ. თუმცა, ქვიან მონაკვეთზე გადაადგილების ბოლომდე თავიდან აცილებას მაინც ვერ შევძლებთ. ამიტომ, უკიდურესი



This is how the left tributary of Khdistskhali looks from below.
1 — The left tributary
2 — Khdistskhali River

Note: There is no exact determined point for river crossing. So we have to find the shallowest point with slow stream. It is the best way to look for such place several ten meters down from the confluence of Khdistskhali and its abovementioned left tributary.

For safety, it's better to use rope for river crossing.

After crossing Khdistskhali, a steep ascent begins on a steep slope. There are no more paths. The slope is covered partly by stones and partly by trees. It is strongly recommended by Bisna to hike on tree-covered area, but note, that we cannot fully avoid hiking on stone-covered parts of the ascent. So, we have to be extremely accurate and careful to avoid sliding or rolling stones under our feet.

After the ascent's steepest section ends, we

სიფრთხილეა საჭირო, რომ ქვებზე დაბიჯებისას ქვა არ გაგვისრიალდეს ან დაგვიგორდეს.

მას შემდეგ, რაც აღმართის ყველაზე ციცაბო მონაკვეთი დასრულდება, წინ ჩანჩქერს და მეორე ციცაბო აღმართს დავინახავთ.

წრე — ჩანჩქერი და მეორე ციცაბო აღმართი.
ისრით მითითებულია საბანაკე ადგილი.

ჩვენ მისი მიმართულებით მივდივართ. აქ აღმართი ისეთი ციცაბო აღარაა, როგორც წინა შემთხვევაში, თუმცა ქვები ფეხქვეშ მაინც საშიშროებას წარმოადგენს. მეტი უსაფრთხოებისთვის, მდინარის (ხდისწყლის მარცხენა შენაკადი) კალაპოტში შეგვიძლია ვიაროთ.

ჩანჩქერს მარცხნიდან (ანუ ჩვენი მიმართულების მიხედვით — მარჯვნიდან) ვუვლით და მივდივართ საბანაკე ადგილამდე, სადაც საკმარისი ფართობია ბერვი კარვის გასაშლელად.

გზა საბანაკე ადგილიდან საბოლოო ხედის ადგილამდე ბევრად იოლი და უსაფრთხოა. უბრალოდ ვიღებთ მიმართულებას ზევით, ხეობის გასწვრივ. გასათვალისწინებელია, რომ მდინარის სათავის შემდეგ გზად სასმელი წყალი აღარ შეგვხვდება.

რამდენიმე კილომეტრის შემდეგ მივდივართ ყუროს ქედის თხემამდე. ეს უღელტეხილის მსგავსი ადგილია საოცარი ხედებით.

უკან, დარიალისკენ, იმავე გზით ვბრუნდებით.

will see the waterfall and another steep ascent forward:

The circle — The waterfall and the second steep ascent. By the arrow the campsite is shown.

We hike towards it. Here, the ascent is not as steep as it was before, but stones under our feet are still dangerous. For more safety, we can hike in the streambed of the river (Khdistskhali's left tributary).

We pass the waterfall from its left side (So — right side from our point of view) and on the head of the waterfall we reach the campsite with an area enough for setting lots of tents.

The way from campsite to final panorama point is much easier and safer. We just keep the direction up, along the valley. Consider that after the source of the river, there is no more potable water on the way.

After several kilometers, we reach the ridge of Khuro Range. This is pass-like place with amazing views.

We have the same back way to Dariali.

© შპს „ბისნა“ ● Bisna LLC | 2020